

პოლიტიკა

კახეულეზა გზა გადაკეტეს



კახეთის რეგიონში ხელისუფლების უყურადღებობით გამოწვეულმა ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია. პროტესტის ნიშნად გუმბინ მთელი დღის განმავლობაში დედოფლისწყაროში და ვაზისუბანში თბილისთან დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალი გადაიკეტა.

A2

ეკონომიკა

საქართველოს რკინიგზა ძველი კადრებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების



ონოფრიშვილი ასდღიანი მუშაობის შედეგებს აჯამებს.

A4

უცხოეთი

მასხადოვი ბასაქვის სასამართლოს წინაშე წარდგინდა აპირებს



ასლან მასხადოვი აცხადებს, რომ მას ბესლანში სკოლის ტერაქტთან არავითარი კავშირი არა აქვს.

A5

სამართალი

„ქართული მართლმსაჯულება ჭარ კიდევ საბჭოთა სისტემაზეა აწყობილი.“

აზროვნის პრობლემა

A7

ანიონი

	28/9	29/9
თბილისი	30 ☀	31 ☀
ქუთაისი	35 ☀	35 ☀
ბათუმი	35 ☀	34 ☀
სოხუმი	33 ☀	33 ☀
ფოთი	36 ☀	35 ☀
თელავი	29 ☀	29 ☀
ზუგდიდი	35 ☀	34 ☀
გორი	28 ☀	28 ☀
ახალციხე	29 ☀	29 ☀
ქობულეთი	31 ☀	32 ☀
ბაზრა	31 ☀	31 ☀
სამცხედრო	36 ☀	36 ☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით

აშშ დოლარი	1.8651
ევრო	2.2875
გირვანკა სტერლ.	3.3674
რუბლი	0.0638

ახალი კოდექსი მოლოდინი და იმედგასრუება

საგადასახადო კოდექსის პროექტი საგადასახადო ლიბერალიზაციაზე დამყარებულ იმედებს ასამარებს

დღეიდან საქართველოს პარლამენტში ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვა იწყება. ხელისუფლება კოდექსის "პრინციპების დონეზე" მიიღებს პარლამენტარებს უკვე 1 ოქტომბრამდე სთხოვს. მესამე მოსმენით მიღების ვადად კი წელევანდელი დეკემბერია განსაზღვრული. თუმცა უკვე დღეს ნათელი ხდება, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი აშკარად ვერ პასუხობს ქართული ბიზნესის მოლოდინს, არ წარმოადგენს საგადასახადო ლიბერალიზაციის საწინდარს, არ არის გამართული ქართულად და ძალიან ემსგავსება ყველაზე დიდ ტყუილს, რომელიც არა მხოლოდ ახალ, არამედ ყველა დროის ხელისუფლებას უთქვამს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე.

გომა მთავრობის მხრიდან სერიოზული განაცხადი - ახალი კოდექსით განსაზღვრულია 21 გადასახადიდან მხოლოდ 8 გადასახადის დატოვება, კერძოდ: სამემოსავლო გადასახადის; მოგების გადასახადის; სოციალური გადასახადის; დღგ-ს; აქციზის; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის; ქონების გადასახადის; სათამაშო ბიზნესის გადასახადის. დაპირებისამებრ, მცირდება საემოსავლო, სოციალური გადასახადების განაკვეთები და დღგ-ს განაკვეთი - 2 პროცენტით, მაგრამ...

ბაზრძალაბა A3 ბავროძე

თამარ ხორბალაძე

თითქმის ერთადერთი, რაც ხელისუფლების დაპირებას პასუხობს, გადასახადების რაოდენობის შემცირებაა - ის შემცირდება, რომლის პრეზენტაცია ხელისუფლებამ ვერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში მოახდინა და რასაც, ბიზნესმენთა ნაწილის საკმაოდ მწვავე კომენტარები მოჰყვა. ამის შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. ასეთი მიდ-

ლალა მჭედლიძე

"დღეს ჩვენი ისტორიისათვის არცთუ ისე სასიხარულო დღეა - სოხუმის ოკუპაციის მორიგი წლისთავი. აფხაზეთის ოკუპაცია, კონტროლის დაკარგვა იყო ერთ-ერთი ყველაზე შავი ფურცელი ჩვენი ისტორიის. აფხაზეთში მარცხი განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: ეს იყო ეროვნული გათიშულობა, ღალატი. ჩვენ თუ გვინდა აფხაზეთის დაბრუნება და ჩემი მიზანი აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს კონტროლის აღდგენა, აღარასოდეს უნდა დაგუშვათ გათიშულობა," - საქართველოს პრეზიდენტმა გუმბინ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ყოფილი შარტავას ოჯახის ეროვნული გმირის ორდენი გადასცა.

"მან თავისი სიცოცხლის და სიკვდილის ფასად დაგვანახა, რისი გულისათვის უნდა ვიბრძოლოთ მომავალში", - განაცხადა პრეზიდენტმა. უფრო ადრე ეროვნული გმირის ნოდება მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის დაღუპულ ზაზა დამეჩიას დედას გადასცა. პრეზიდენტი გმირის დედით ამაყობს:

ბაზრძალაბა A2 ბავროძე

კახა ფარეშვილი

კვირას გამართულ აღმასკომის დახურულ სხდომაზე თანამდებობიდან გადააყენეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ანდრო აბაშიძე. სფფ-ის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას განმარტებით, ანდრო აბაშიძე ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამიტომ სფფ-ის აღმასკომმა მიზანშეწონილად ჩათვალა თანამდებობიდან მისი გადაყენება. "აბაშიძესთან ერთად რაიმე პროექტების განხილვა, ვფიქრობ, არასერიოზულია," - ამბობს სფფ-ის პრეზიდენტი. ასეთია აღმასრულებელი დირექტორის გათავისუფლების ოფიციალური ვერსია. აბაშიძე კი მიიჩნევს, რომ აღმასკომს მისი გადაყენების უფლება არ ჰქონდა და ეს საქმე ყოველგვარი პროცესუალური ნორმების დარღვევით გააკეთა. ამიტომ საქმე სასამართლოში გაიჩვენა და არ არის გამორიცხული, ანდრო აბაშიძე სასამართლოს ძალით თანამდებობაზე დაბრუნდეს.

ბაზრძალაბა B4 ბავროძე

ქართული ბიზნესი უკმაყოფილოა

საქართველოს ახალ საგადასახადო კოდექსს საქმიანი საზოგადოება ერთსულოვნად პოზიციით ნამდვილად არ შეხვედრია. 130-გვერდიან საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით ბიზნესმენთა და ეკონომისტთა თითოეული გაერთიანებას დაახლოებით ისეთი მოცულობის შენიშვნები აქვს, რომელთა სრულად გამოქვეყნება, ცხადია, ვაჭრების შესაძლებლობებს აღემატება; ამიტომ, "24 საათმა" საქართველოში არსებულ ბიზნესმენთა და ეკონომისტთა გაერთიანებებს საკუთარი პოზიციის წერილობით გამოხატვა ერთ გვერდზე შესთავაზა:

შოთა მაქაცარია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა:

მიუხედავად ცალკეული პოზიტიური მომენტებისა, პროექტი არ წარმოადგენს პარამონიულ, გათანასწოებულ, თანამედროვე საკანონმდებლო აქტს. მასში ბევრი ნაკლოვანებაა: ძველიც და ახალიც. პროექტი არ ითვალისწინებს საყოველთაო, სავალდებულო, ყოველწლიური შემო-

საგადასახადო დეკლარირებას. ამ მხრივ ჩვენი საზოგადოება ისევ ჩამორჩება ცივილიზებულს. დეკლარირების ეს მექანიზმი რუსეთშიც კი შემოიღო სამი წლის წინათ. საყოველთაო დეკლარირებას წინ უნდა უსწრებდეს მოქალაქეთა ქონების და აქტივების დეკლარირების ანუ დღეისათვის დაფიქსირებული Status Quo.

ბაზრძალაბა A3 ბავროძე

ადარ უნდა დავუბრუნო ბათიბულობა



მას შემდეგ, რაც მემორიალთან სიტუაცია დაიძაბა, აქ საქართველოს პირველი ლედი გამოჩნდა და მემორიალი თაიგულით შეამკო.

აბაშიძე მოხსნას

რა არის ეს? - ბლექი, თუ ვაზანკი?



მერაბ ჟორდანიას



ანდრო აბაშიძე



თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე "ანტიკონე" რეჟისორი: ნანა ჯანელიძე დას: 20:00 სთ

გამოყვანა

გოეთეს ინსტიტუტი პიერ მენდელისა და მენდელი & ობერერის ბიუროს პლაკატების გამოფენა დას: 18:00 საათზე

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალმევეს ნამუშევრების გამოფენა

თანამედროვე ხელოვნების გალერეა

"ელექტრონული დედაიშინა - თანამედროვე ბრიტანული ვიდეო-არტი"

ძველი გალერეა

გია ბულაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ქარვასლა

პროექტი "სამშაბათი გასულია" შევიცარიელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

პოლ კალშუნის (აშშ)

და მისი მონაწიეების ფოტონამუშევართა გამოფენა "ხელოვნება დაუცველთათვის"

ლია ბაგრატიონის

ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)

სურათების ეროვნული გალერეა

"თბილისი თბილისელ მხატვართა შემოქმედებაში"

პინოთეატრები

ამირანი "შრეკი 2" ფასი: 6-8 ლარი დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ. "ბორნის იდენტიფიკაცია" ფასი: 9 ლარი დას: 20:00; 22:00 სთ. რუსთაველი "გარფილი" დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ. "ნამდვილი მამაკაცი" დას: 18:00 სთ. "მე, რობოტი" დას: 20:00; 22:00 სთ.

Advertisement for 'თბილისის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალი 5 - 10 ოქტომბერი 2004' with logo and contact info.

ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი დასრულდა



შუე შინა ხალხში გავიდა.

სალომა კიკელიძის

სიმპოზიუმი, რომლის სამეცნიერო სესიები, გახსნიდან მეორე დღესვე დაიწყო კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზში, თითქმის მთელი დღის მანძილზე, მცირედი შესვენებებით მიმდინარეობდა.

რამდენად ამოწურა სიმპოზიუმი თავისი თავი, რამდენად ნაყოფიერი იყო ქართველ და უცხოელ ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო სესიები - ამას პასუხი პროფესიონალებმა უნდა გასცენ.

40-მდე სამეცნიერო მოხსენება, მრავალი ჰაითიუზა თუ დასკვნა გააკეთეს ქართველ მეცნიერებთან ერთად ჩამოსულმა სტუმრებმა.

კარგად ნაცნობი ანსამბლი "მზეთამაზე"; რელიგიური, პატრიოტული ლირიკული რეპერტუარით "ანსამბლი" - ქალები პანკისის ხეობიდან და ლაზ ქალთა ანსამბლი "ქვამო".

დიდ დარბაზში საკონცერტო პროგრამა გახსნა "ბასიანმა" (საბატორიარქოს ფოლკლორული ანსამბლი) და "ანჩისხატმა".

სხვათა შორის, სწორედ ედმონტ გარაყანიძის და იოსებ ყორძანაშვილის უფრო სწორად, მათ მიერ ჩატარებული სიმღერის სასწავლებელი ლექციების დამსახურებაა, რომ დიდ ბრიტანეთში ქართული სიმღერის საშემსრულებლო ანსამბლი "მასპინძელი" შეიქმნა, რომელიც ისევე როგორც ნინა სიმპოზიუმზე, ახლაც იღებდა მონაწილეობას.

რომელიც პირველი სიმპოზიუმიდან კარგად ახსოვს მსმენელს. ასევე გარკვეული მიზეზების გამო ვერ გამოვიდა ქართული ანსამბლი "ლაშარი", როგორც ეს პროგრამით იყო გათვალისწინებული.

როგორც ვხევით, უცხოეთში ქართული სიმღერის მიმართ არსებულ დიდ ინტერესს, რაც შეეხება "გორანის" რეპერტუარს, მსმენელს რამოდენიმე მხიარული შინაარსის ბულგარული სიმღერასთან ერთად, გურულ-იმერული "ნანინა", სვანური "ლილე" შესთავაზა.

"მეზი" გუნდი ინტერნაციონალურია. აქ არის ერთი ფრანგი, ერთი ამერიკელი, ერთი პერუელი და ერთი იტალიელი.

ლორან სტეფანი: "ჩვენ ყველანი მუსიკამ დაგვაკავშირა, ქართული

სიმღერის სიყვარულმა. ერთმანეთს საფრანგეთში არსებულ ანსამბლებში "მარანი" შევხვდით, რის შემდეგაც გადავწყვიტეთ საკუთარი გუნდის ჩამოყალიბება.

ლორან სტეფანი: "ჩვენ ყველანი მუსიკამ დაგვაკავშირა, ქართული

სადაც იმდენად ვაძვირებთ და ვაღვირვებთ, რამდენად ჩვენ გვახარებს სიმღერის და ანსამბლი "მზეთამაზე" წევრი. ზუსტად მაშინ, როცა სახელს ვარჩევდით, დავმთხვავე რომ ჩვენი წევრი დენის შავრი ფეხმძიმე იყო.

სასაამონო, როცა შენს ტრადიციას უცხო ადამიანი პატივს სცემს, მღერის, სწავლობს. სასამონო და საამაყო, როცა სცენაზე უყურებ "ანჩისხატს", "ბასიანს", "მთიებს"...

იმედია, კონსერვატორიისა და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, ქალბატონ მანანა დოიჯაშვილის და ბატონ ანზორ ნერსისიანიძის თაოსნობით, 2006 წელშიც გავსამოყვებთ ტრადიციული მრავალხმიანობის უკვე მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმში.

როგორ იქცევიან რადიოები ოქროს ბუზად

ფესტივალი თბილისური რადიოსადგურებისთვის

პირა ნაფარიძე სამთიანმა მართონმა წვდასხვა ნომინაციებში წარმატებული თბილისური რადიოსადგურები უნდა გამოავლინოს.


მათ საქმიანობაში რაღაც უნდა შეიცვალოს. რამდენად მოახერხებს ამ პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოგვარებას რადიოსადგურების ფესტივალი, დრო გვიჩვენებს (თუ იდუა გაამართლებს, რასაკვირველია).

ციანი, როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, მეტად კომპეტენტური ყოფილი გადამწყვეტს. თუმცა, ჯერჯერობით, უცნობია, თბილისური რადიოსადგურების სრული შემადგენლობა აცხადებს თუ არა თანხმობას ფესტივალში მონაწილეობაზე.

რამდენიმე რადიოსადგურის ხელმძღვანელობამ ფესტივალის ორგანიზატორებისადმი უნდობლობის გამო უკვე მოასწორო უარი ექვა ფესტივალში მონაწილეობაზე. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ფესტივალში მონაწილე რადიოთა ნუსხიდან მათი სახელწოდებები არ არის ამოღებული.

ფესტივალი ორ ეტაპად არის დაყოფილი. პირველ ეტაპზე დაგეგმილია ნომინატების წარდგენა. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის რადიოსადგურების ხელმძღვანელობამ უნდა მიაწოდოს ციანი, როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, მეტად კომპეტენტური ყოფილი გადამწყვეტს.

თხუთმეტი ნომინაციაზე საკუთარი ვარიანტები; მასალას შეისწავლის და შეაფასებს ყოფილი, რომლის შემდეგც რადიოსადგურების ხელმძღვანელობამ უნდა მიაწოდოს ციანი, როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, მეტად კომპეტენტური ყოფილი გადამწყვეტს.



"ოქროს ბუს" ორგანიზატორები - მედია-ბიზნეს ქვეყნი "სითიზენი".

ბრიჯიტ ბარდო - 60-იანი წლების სექს-სიმბოლო, რომელიც ცხოველების უფლებების დამცველ აქტივისტად იქცა

პრინცესა გამოგურცული ტურიაბით

70 წლის იუბილეზე ბრიჯიტ ბარდოსგან სკანდალს ელიან, ოლონდ, არა - სექსუალურს. დიდი ხანია, რაც 60-იანი წლების სექს-სიმბოლო საზოგადოების ყურადღებას ძირითადად ცხოველების უფლებებთან დაკავშირებული მყვირალა განცხადებებით იპყრობს. ამჯერად კი ის პუბლიკის გაცხადებას მემარჯვენე პოლიტიკოსის ჟან-მარი ლე პენის მხარდაჭერით გამოიწვევს.

საინტერესო ფაქტები

- ბრიჯიტ ბარდოს ცნობილი თავყვანისმცემლები იყვნენ: მარლონ ბრანდო, უორენ ბიტი, მიკ ჯაგერი, შონ კონერი და პოლ ბელმონდო.
1976 წელს მან ბრიჯიტ ბარდოს ფონდი დააფუძნა, რომლის მიზანაც ცხოველების კეთილდღეობის დაცვა იყო.
1987 წელს მან საკუთარი ძვირფასი სამკაული გაყიდა და ქველმოქმედებისთვის 500 ათასი დოლარი გადააღო.
1992 წელს ბარდომ მეთხედ იქორწინა, მემარჯვენე პოლიტიკოს ბერნარდ ორმალზე.



© GRAPHIC NEWS

ბასვლის, დაცვის და დარბვის სეზონი

ჯოელ ლერნერი ერთი სიმბათიური ამერიკელია, რომელსაც არანაკლებ სიმბათიური პროფესია აქვს. ის ლანდშაფტის დიზაინერია და ამ დარგის ამერიკელი პროფესიონალების ასოციაციის წევრი. წერს ყოველკვირეულ სვეტებს მებაღეობაზე "ვაშინგტონ პოსტისთვის" და რამდენიმე საინტერესო გამოცემის ავტორიცაა. ამ წიგნების თემა, ძირითადად, ერთნაირია - როგორ გავაკეთოთ ლამაზი ბაღი ქალაქის პირობებში; როგორ შევარჩიოთ და გავალამაზოთ ლანდშაფტი ჩვენი სახლის გარშემო და ა.შ.

პარაზიტები სუსტდებიან, ან სულაც სადღაც ქრებიან, შემოდგომის ულამაზესი ფერები კი თავისას აკეთებს და მებაღეებს ბაღში მუშაობის სურვილს კიდევ უფრო უმძაფრებს. ლერნერის თქმით, შემოდგომა გადასარევი დროა დარგისთვისაც, თუნდაც ბოსტნეულის. შეიძლება გასამრავლებელი ტოტების გადარეგვაც, გასხვავაც - მოკლედ, გაზაფხულისთვის რამდენიმე თვით ადრე მომზადება. დანერგვის კანდიდატებს შორის არიან: მრავალწლოვანი მცენარეები, ხეები, ბუჩქები. მეტიც, ყველაზე დიდ გამძლეობას მრავალწლოვანი მცენარეები მაშინ იჩენენ, თუ სექტემბერში დაერგავენ მათ. რაც შეეხება ყვავილებს, შემოდგომაზე სიცოცხლის დანებება განსაკუთრებით უყვართ პიონებს. ამ დროს კარგია მათი გადარეგვაც. თუ თქვენს პიონებს ბევრი და გამძლე ფოთლები აქვს, მაგრამ არ ყვავილობს, მაშინ ფრთხილად ამოიღეთ მიწიდან და ღრმად ჩარგეთ. ახლა კარგია ნარცისის დარგვაც, ტიტებისთვის კი უფრო ხელსაყრელი დრო ნოემბერია. რაც შეეხება ბოსტნეულს: თუ ახლა დარგავთ გროლი ამინდის მოყვარულ ისპანახს, კომბოსტოს, ბრი-

უსელის კომბოსტოს, სტაფილოს, სალათის, ან თაღვამს, შეუდარებელ მოსავალს აიღებთ. შემოდგომა კარგი დროა მარადმწვანეების, მათ შორის, ფიჭვის დასარგავადაც. შემოდგომაზე ჩარგული ნერგები ზამთარს იოლად უძლებენ. თუმცა, ფართოფოთლიანი მარადმწვანეების, ისეთი როგორც ახალია, დარგვა გაზაფხულზე უკეთესია. შეგახსენებთ, ეს ჯოელ ლერნერი იყო თავისი სამემოდგომო კონსულტაციებით. ლანდშაფტის დიზაინერის რჩევები კი, ხომ იცით, სულ სხვა დონისაა.

TV პროგრამა 28 სექტემბერი. რუსთავი - 2. 07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეიპოლიტიკა" 09.40 სერიალი "შეგარბული ქალები" 11.00 თამაშები "ველაზე ჭკვიანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 21.30 კურიერი 12.20 სერიალი "პეტროლი პილზი" 13.20 მხ. ფილმი "ატლანტიკის საზღვარი თავდასასვლელი რუსეთში" 15.25 სერიალი "სასწრაფო" 16.30 სერიალი "ადვი" 17.05 სერიალი "მამულები" 18.20 "ტელეიპოლიტიკა" 18.55 სერიალი "პეტროლი პილზი" 19.45 პატარული 20.00 სერიალი "შეგარბული ქალები" 22.00 სადღეობრივი მიმოხილვა 22.45 ჩემპიონია ლიგა. "რეალი"-რომა" 01.00 ჩემპიონია ლიგის მიმოხილვა.

პირველი არხი. 07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი "მარსუპოლიანი" 09.55 "იმდგრე რამე" 10.25 მხ. ფილმი "ბერკაცები" 11.00, 15.00, 20.00, 23.00 მაიმუნი 12.15 სერიალი "კარისა ვულ" 13.00 "მეტროპოლიტიკა" 14.00 მაიმუნი ის-ურ-ენაზე 14.15 "დარბის მიწა" 15.20 "ანალიტიკა" - ა. ნერსიანი 16.00 მაიმუნი ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი "უშპორები" 16.30 ისტორიანი 17.00 მულტსერიალი "მარსუპოლიანი" 17.25 "ამბოენი" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "ნერლვარსკლავთა ღამე" 19.00 "იმდგრე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "კარბის გული" 22.00 ქიმერიონი - ა. ვარსიამაშვილი 00.00 მხ. ფილმი "მოდანება" (გ).

მეოთხედი. 09.00 "გაბატეობა ბარტ ვულე" 09.30 სერიალი "ველური მთავარი" 10.30 სერიალი "სინიორ ვინელი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 11.10 სერიალი "პატარა დიდი ბიზი" 11.35 კრიმინ. დრამა "სამ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.05 ტელეფორალი "სვენა" 13.05 სერიალი "პოლიციელი ქალები" 14.15 "ფარული კამერა" 14.45 "მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი "მარია ემილია" 16.05 სერიალი "პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამომგება "მზერა" 17.20 "ფარული კამერა" 17.50 "გე-პატეობა ბარტ ვულე" 18.20 ტელეფორალი "მო-და" 19.05 სერიალი "ველური მთავარი" 20.45 სერიალი "სინიორ ვინელი" 21.15 სერიალი "პატარა დიდი ბიზი" 21.45 კრიმინ. დრამა "სამ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 "არქივის ზღაპრები" 23.45 მხ. ფილმი "ველა ადამიანი მოკვდავი" (15) (ირენ ჟაკო)

მეორე არხი. 19.00 მულტფილმი "მარსუპოლიანი" 19.30 "იმდგრე რამე" 20.00 ფრანგულენოვანი სურათისათვის 20.30 სერიალი "ნერლვარსკლავთა ღამე" 21.30 კონცერტი - ვ. კახიძე 22.00 მხ. ფილმი "ვადლების ერთი დღე" (3).

იმიდი. 07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ამინდსაფორი ფილმი "სანდოკანი - მალაზის ვეფხე" 08.25, 04.35 იმედის მულტფილმი 08.30 დღე სერიალი "ველაზე ექსტრემალური" 09.20 "აქტიური" 10.05 სერიალი "ტყულები" 11.15 სერიალი "ვაკა და ლდე" 12.15 ს. პროგრამა "გოლი" 12.40, 16.25, 04.05 ტე-მარკები 13.15 მხ. ფილმი "კონტაქტი" (12) (რეჟ. პ. პაო) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.55 ქრონიკა 15.20 სერიალი "კლინი" 16.30 დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" 17.30 საქმე ტ. 18.05 სერიალი "ტყულები" 20.00 სერიალი "კლინი" 20.55 სერიალი "ვაკა და ლდე" მე-2 ს. 22.45 "პირველები" 23.25 "პირველი ნახე-ვარი" 23.55 "ინტერ-ნიუსი" 00.20 მხ. ფილმი "სადე-მლო" (ა. კოსენკო) 01.55 სერიალი "ნუ ბრიჯისი" 02.50 "გოლი - სერია ა" (იტალიის ჩემპიონატი)

OPT. 06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Народный детектив "Участок" 10.30, 19.00 Сериал "Кто?" 11.20 Мультсериал "Каша-мышка" 11.40 Дисней-клуб "Новые приключения Винни Пуха" 12.20 Приключенческий фильм "Огненные версты" 14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Сынчик" 16.30 "Фабрика звезд" 17.00 "Пять вечеров" 18.20 "Тан или пропал". Поездник с Николаем Фоменко 20.00 Сериал "Черный ворон" 21.00, 00.30 Премия 22.45 Секретное дело "Китайская иржуша диктатура" 23.50 "Фабрика звезд" 00.20 "Моя любимая жена" Николай Озеров 00.50 Бельгийская ария "Смертельная давность. Русский крест" 01.20 Романтическая комедия "Только ты" 03.20 "Что? Где? Когда?" 04.40 Сериал "Специальное подразделение III" 05.30 Сериал "Все путешествия команды Кусто". "В зазеркалье Байкала"

იკონური სახვა

15x15 crossword puzzle grid with numbers and some letters filled in.

საკანონი

15x15 crossword puzzle grid with numbers and some letters filled in, including small images of people.

მხატვრის ალქიმიური თაბაში



თამარ სახიფილი

არაჩვეულებრივი გამოფენა, კერამიკის საოცარი და დახვეწილი სამყარო – ასეთი შეფასება მისცეს ხელოვნებამცოდნეებმა ქარვასლაში გახსნილ ექსპოზიციას. იქვე ისიც დასძინეს, ამ გამოფენას მართო ესტეტიკური დანიშნულება კი არა აქვს, ექსპოზიცია ისეა განლაგებული, რომ მნახველს დასვენებისა და განტვირთვის საუკეთესო პირობებს უქმნისო.

გამოფენის ავტორს - ლია ბაგრატიონსაც ეს ჩანაფიქრი ჰქონდა, რომ მნახველი კერამიკის სამყაროში ჩაეთრია და ყოველდღიურობას მოეწყვიტა.

ბოლო ხანებში ჩვენ განებობს რეზულნი ვართ კერამიკის დარგის წარმატებით, უკანასკნელ წლებში თანამედროვე კერამიკამ დიდი ნახტომი გააკეთა. იმ რამდენიმე ავტორს შორის, რომლებმაც ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინეს ქართული გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგში, ლია ბაგრატიონის სახელიცაა – ითქვამს გამოფენის გახსნაზე.

დარბაზში შესვლისთანავე იქცევს ყურადღებას თითოეული ექსპონატის ფორმა, მინარსი, კომპოზიცია თუ სახელწოდება. ეს ფიქრთა და ასოციაციების ერთგვარი ალქიმიია, - ვკითხულობთ საგამოფენო ბუკლეტში.

გამოფენის თემატიკას ანტიკურ სამყაროში გადაყვარათ: პენელოპეს იარაღები, მცველეები, კენტავრები (სული ოთხი კენტავრი, რომელთაგან ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი ლურჯ, ყავისფერ და თეთრ ტონებში გადაწყვეტილი კენტავრი გახლავთ, რომელსაც ჩაიდნის ფორმა აქვს), ჩიტები, ხეები და ბოლოს ადამიანები, რომლებიც ამ სამყაროში ძალიან პატარები არიან და ძალიან გვანან მცირე ზომის ეტრუსკულ ქანდაკებებს.

ლია ბაგრატიონი უკვე დიდი ხანია კერამიკაზე მუშაობს. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ამ დროიდან მონაწილეობს გამოფენებში. არის საქართველოს კერამიკის II სიმბოზიუმის "გრანპრის" მფლობელი. 2001 წელს მიიწვიეს მხატვრად აშშ-ში, ქალაქ ლეიქსაიდში (მი-


ჩიგანის შტატი). მისი პირველი პერსონალური გამოფენაც სწორედ იქ გაიმართა.

Terra-Aurum ანუ "მინა და ოქრო" - ასე უწოდა მხატვარმა თავის ახალ ექსპოზიციას. ამ ექსპოზიციასზე წარმოდგენილი ნამუშევრები ნითელი თიხისა და ოქროს სინთეზის შედეგად არის მიღებული. მხატვარმა აგვისხნა, რომ ეს უჩვეულო კომბინაციაა და, როგორც წესი, ამგვარ შერეულ ტექნიკას მხატვრები არ მიმართავენ ხოლმე. ძვირფას მასალას - ოქროს, ჩვეულებრივ, ძვირფას მასალაზე, მაგალითად, ფაიფურზე მუშაობის დროს იყენებენ. თიხა კი უბრალო და იაფი მასალაა და მდიდრულ ოქროსთან კომბინაციაში არ მოიაზრება.

ლია ბაგრატიონმა თავისი ჩანაფიქრი ამგვარად ახსნა: ეს ყველაფერი, გამოფენის სახელწოდებაც, შინაარსიც ერთგვარი თამაშია. აქ ქალაქის ან თუნდაც ლითონის ფულის პრინციპია გამოყენებული. ფული ჩვეულებრივი ქალაქია (ან ლითონი), რომელსაც სახელმწიფო ფინანსურად უზრუნველყოფს და მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა რაღაც ღირებულების მქონე ბანკოტად, ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტად. ისტორიულად ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტი ოქრო და ვერცხლი იყო. მეც ჩემი ნამუშევრები უზრუნველყოფილი, - ამბობს მხატვარი.

ყველაფერი თამაშია. ეს გამოფენაც თამაში იყო. ახლა უკვე თქვენც მონაწილეობთ ამ თამაშში. და აბა, თქვენ იცით, ითამაშეთ, - იხუმრა გამოფენის გახსნის წინ ლია ბაგრატიონმა. ასე რომ, თუ თამაშში მონაწილეობის სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ ქარვასლას ეწვიოთ.

დამთავლიერებლები ქარვასლაში დიდხანს არ დაშლიან, ნაწილმა კი იქვე, "ძველ გალერეაში" გადანიაცვლა, სადაც კიდევ ერთი საინტერესო გამოფენა ელოდათ - ფერწერა და გრაფიკა. მხატვარმა გია ბულაძემ წელსაც არ დაარღვია ტრადიცია და თავის დაბადების დღეზე საკუთარ თავსა და ხელოვნების მოყვარულებს ერთი ლამაზი გამოფენა აწუქა.



გავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი თოჯინების დადგმის რეჟისორთა კონკურსი

"Save the Children" ("ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები") ახორციელებს ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტს საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. პროექტი ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ (SDC). პროექტი მიზნად ისახავს ბავშვებში ტოლერანტობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას პიროვნებათაშორის და საზოგადოებრივი კონფლიქტების გადაჭრის საქმეში, ასევე კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

"Save the Children" აცხადებს თოჯინების დადგმის რეჟისორთა კონკურსს ბავშვთა სატელევიზიო სერიებისათვის. სატელევიზიო სერიები შეიქმნება ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში. თოჯინების დადგმის რეჟისორი მოახდენს დადგმების შექმნის მთლიან ორგანიზებას, მის მოვალეობაში შევა თოჯინა-პერსონაჟების შექმნა, მხატვრების, მეთოჯინეების, დეკორატორების, მუსიკალური გადმომხატვლების და სცენარისტების მუშაობის კოორდინაცია. რეჟისორი მმართველ ითანამშრომლებს ბავშვთა ტოლერანტობის პროექტის კოორდინატორთან და ტელევიზიასთან.

კვალიფიკაცია და კომპეტენცია

- ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება თოჯინების დადგმის რეჟისურაში, სასურველია თოჯინების სატელევიზიო დადგმებში
- გამოცდილება საბავშვო თოჯინების დადგმის რეჟისურაში
- ორგანიზატორული უნარ-ჩვევები და დადგმების შექმნის პროცესის მართვის და ორგანიზების უნარი
- ზოგადი ცოდნა სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებისა და დემოკრატიის შესახებ, ასევე საბავშვო საგანმანათლებლო, გასართობი ან შემეცნებითი პროგრამების სფეროში
- ბავშვებისათვის ადვილად გასაგები, მიმზიდველი და საინტერესო თოჯინების დადგმების შექმნის უნარი
- ქართული კულტურისა და ტრადიციების ღრმა ცოდნა
- აზერბაიჯანულ და სომხ კოლექციონარ კონსტრუქციული და კოლეგიალური ურთიერთობის უნარი
- მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში მუშაობის უნარი
- მოქნილობა, კრიტიკული აზროვნება და კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარი
- ქართული და რუსული ენების კარგი ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე და სატიტულო გვერდი ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორის მარინა უშვერიდის სახელზე, შემდეგ მისამართზე: "Save the Children" საქართველოს ოფისი, ბარათაძე-ვილის ქ. 8, IV სართული, 0105, თბილისი;

ფაქსი: (995 32) 99 89 43; ელ-ფოსტა: marina@save.org.ge
განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 30 სექტემბერი, 2004.

განცხადება

შპს "აჭარის ენერჯოპოვანის" ღირებულება აცხადებს ღირებულების სახელწოდებითი ხელოვნების ამ დარგში, ლია ბაგრატიონის სახელიცაა - ითქვამს გამოფენის გახსნაზე.

ტენდერის საგანი:

- სატრანსფორმატორი ზეთი;
- რაოდენობა 50-60 ტონა;
- ტექნიკური მახასიათებელი მარკა T-1500

მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმები:

- ტექნიკური შესაბამისობა;
- ღირებულება;
- გადახდის პირობები;
- მომწოდებლის ადგილი;
- მომწოდებლის გამოცდილება მსგავსი შეკვეთების შესრულებაში.

გთხოვთ, თქვენი წინადადებები მოგვანდოთ ამა წლის 10 ოქტომბრამდე. საკონტაქტო ტელეფონები: Fax: (888222) 7-63-45 (888222) 7-63-46 Tel: 7-25-50 Mob: (877) 44-52 38.

სასკოლო მეთოდური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "ბნათლავალი საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსანერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგონებრივ მეთოდური გაზეთებს.

საგონებრივი მეთოდური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდოლოგებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 სექტემბერიდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.



მისამართი: თბილისი, რუსთაველის 42, მე-3 სართული, ტელ.: 93-50-84, (899) 55-15-84

მოსწავლეთა საყურადღებოდ!

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში

მიღების V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎ 91-03-17; 29-48-61; 95-45-75

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფების თემებით:

- კლავიატურაზე ბუკდების აითითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრეხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა ჯგუფებიც.

მისამართი: დ. უზნაძის №70 ტელ: 29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტატი, ქალური და მარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიძინე შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსაღინი ხერხის ბავთა მინება, სუნის ან გამოდენის დროს, აგრეთვე ტკივილი ნელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნალღის ბუშტის (ქოლესისტიტი), პეპტიკის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გათმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალი "სალხინო" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთენტუბი.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



"ენ-ჯი-სი ტური"

ბთაპაზობთ

დასვენებას თურქეთის სუპრემო კურორტებზე. ინდივიდუალურ და ჯგუფურ სემინარებში ტურებს.

მის: გამსახურდიას №28 ტელ: 37 33 99 . 37 34 99

NGCTOUR@YAHOO.COM